

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი წარმოადგენს ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურისმცოდნეობითი პრობლემების კვლევის ცენტრს საქართველოში.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დანიშნულებაა, განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები ქართული ლიტერატურის, ლიტერატურის თეორიისა და ფოლკლორის მიმართულებით, ხელი შეუწყოს ამ კვლევების შედეგების დანერგვას პრაქტიკაში.

ინსტიტუტის უმთავრესი ფუნქციაა ფილოლოგიური კვლევების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო პროექტების რეალიზება, რაც საშუალებას მისცემს ქართულ ფილოლოგიურ სკოლას, ინტეგრირდეს მსოფლიო ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ პროცესებში.